საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 5 18 00089421

24/12/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 18 დეკემბრის №60-01183522507 წერილის ლი სახურში რეგისტრაციის თარიღი 18.12.2018; №88116) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.005.242) ასაშენებელი სასტუმროს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.005.242) ასაშენებელი სასტუმროს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმდინარე წლის 16 ოქტომბრის N ES 8 18 00070875 წერილის (გაიგზავნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში) საფუძველზე შეტანილი იქნა სათანადო ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ საჭირო ხდება მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს, შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა, რომელთა პროექტები ორი თვის ვადაში წარმოდგენილი უნდა იქნეს განსახილველად, მათ შორის:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტი;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტი;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ვ) შენობაში ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვნტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარების სისტემების მოწყობის პროექტი;

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი